გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-01/69

თბილისი **“ 17 “ ივლისი 2015 წ.**

შემოდგომის სემესტრში მობილობის ვადების, ვაკანტური ადგილების და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის შესახებ:

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე–9 მუხლის, გთსუ–ის წესდების მე–5 მუხლის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის 10/ნ ბრძანების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების მე-5 და მე-9 მუხლების, გთსუ-ის მობილობის დებულების 1 მუხლის, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის, სამართლის ფაკულტეტის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტების დეკანების წარდგინებების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. განისაზღვროს შემოდგომის სემესტრის მობილობის ვაკანტური ადგილები ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე:

<u>ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე</u>

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- ბიზნესის ადმინისტრირება - (მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები) - 7 ადგილი;
- ტურიზმი - 3 ადგილი.

<u>სამართლის ფაკულტეტზე</u>

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- სამართალი - 10 ადგილი.

<u>სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე</u>

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- ჟურნალისტიკა - 3 ადგილი.

2. განისაზღვროს 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მობილობის ვადები ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის:

- ✓ დოკუმენტების მიღება ფაკულტეტებზე - 31 აგვისტო - 9 სექტემბერი;
- ✓ ჩასარიცხ პირთა შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენა - 10 სექტემბერი.

3. განისაზღვროს წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:

- ✓ განცხადება (რექტორის სახელზე);
- ✓ სრული ზოგადი/უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ✓ პირადობის მოწმობის ასლი;
- ✓ გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატის ასლი;
- ✓ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ✓ სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტი;
- ✓ სტუდენტის სასწავლო ბარათი (დამოწმებული ფაკულტეტის ბეჭდით და დეკანის ხელმოწერით);

4. დოკუმენტების მიღება დაევალოს შესაბამის ფაკულტეტებს;

5. უნივერსიტეტში გადმოსვლის მსურველთა კრედიტების აღიარება დაევალოს უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტს სასწავლო განყოფილებასთან შეთანხმებით.

6. ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას.

7. დაევალოს კანცელარიას ბრძანება გადასცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

რექტორი გიორგი მათიაშვილი